აღმავლობის პროგრამა

ქვეყანაში დაიწყო პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის—

„სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“—

განხილვა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1980 წელი ხუთშაბათი 4 დეკემბერი № 279 (17921) ფასი 2 კაპ.

თბილისის საწარმოო გაერთიანების „ელექტროაპარატის“ კოლექტივი დიდი ინტერესით განიხილავს და იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს პარტიის XXVI ყრილობისათვის — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებს“.

სურათზე: სასიგნალო არმატურების უბნის ოსტატი, აგიტატორი ნ. შაქარაშვილი ამ ისტორიული დოკუმენტის მასალებს აცნობს ამწყობ ზეინკლებს ნ. ტორონჯაძეს, ნ. შობაშვილს, ა. მურადიანს და ე. მირიანაშვილს.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

კომუნისტური მშენებლობის ახალი ჰორიზონტები

ლაბორატორიულ კავშირის კომუნისტური პარტია გულდასერილებით ეგებება თავის მორიგ, XXVI ყრილობას. ყრილობისათვის მზადებაში დადგა ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ — საყოველთაო-სახალხო განხილვის ეტაპი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დოკუმენტია. მასში შემოკმედებითად არის განზოგადებული სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა, გათვალისწინებულია სხვა სოციალისტური ქვეყნების კომუნიცდილება, ხორციელსაყოფია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა საბჭოთა ეკონომიკური, სოციალური და სულიერი განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, ამასთან გათვალისწინებულია ჩვენი საუკუნის ოთხმოცდაანი წლების კონკრეტული პირობები.

„ყოველი ყრილობა, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმზე, — ახალ ჰორიზონტებს უსახავდა ჩვენს პარტიასა და ქვეყანას, მჯერა, ასეთი იქნება მომავალი ყრილობაც, რომელშიც უნდა განსაზღვროს კომუნისტური მშენებლობის დამდეგ ეტაპზე ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტში დასახულია ჩვენი შემდგომი წინსვლის ახალი მიჯნები. ეს ძნელი მიჯნებია, მაგრამ საგანგებო რეალური, მათ ხომ საფუძველად უდევს ქვეყნის უდიდესი მიღწევები ეკონომიკის, სოციალური ცხოვრების, სულიერი კულტურის სფეროში.

მაგალითად, მეცხრე ხეთწლედთან შედარებით მეათე ხუთწლედში წარმოებულია თითქმის 400 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების ეროვნული შემოსავალი, სამრეწველო პროდუქცია — 717 მილიარდი მანეთით და სოფლის მეურნეობის პროდუქცია — 50 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულებისა, ამოქმედდა 1200-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო. სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება გაიზარდა 21 პროცენტით, აქედან კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლისა — 41 პროცენტით; უფრო გაფართოვდა ნაწარმის ასორტიმენტი, გაუმჯობესდა მისი ხარისხი.

თანამიმდევრულად ხორციელდება პარტიის აგრარული პოლიტიკა, რამაც უზრუნველყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდა. ხუთწლედში მარცვლეულის საშუალო წლიურმა მოსავალმა 200 მილიონ ტონას გადააჭარბა. გაიზარდა ხორცის, რძის, კვერცხის, ბამბისა და სხვა პროდუქციის წარმოება.

ახალი დიდი ნაბიჯი გადაიდგა სოციალური ამოცანების გადაწყვეტის გზაზე. ხუთი წლის განმავლობაში ეროვნული შემოსავლიდან ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის გამოიყო 329 მილიარდი მანეთით მეტი სახსრები, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 17 პროცენტით. მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 15 პროცენტითა და მეტად გადიდდა, ხოლო კოლმეურნეთა შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობისაგან — 26 პროცენტით.

გრძელდება ბევრი სასურსათო და არასასურსათო საქონლის მოხმარების ზრდა. კიდევ უფრო განვითარდა მომსახურების სფერო. საცალო საქონელბრუნვა გაიზარდა 24 პროცენტით, საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა — 48 პროცენტით.

ფართო მასშტაბით წარმოიდგა სახლთაშენებლობა. ხუთწლეულში აშენდა 530 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. სახლთა პირობები გაიუმჯობესა 50 მილიონზე მეტმა კაცმა.

მიღწეულია შემდგომი პროგრესი მეცნიერების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკურკულტურისა და სპორტის დარგში.

ამავე დროს, აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში, ეკონომიკის განვითარებასა და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში მიღწევები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, უფრო სრულად რომ გამოგვიყენებინა საგეგმო მეურნეობის უპირატესობანი, უფრო აქტიურად რომ მოგვექცია ბრუნვაში საწარმოო რეზერვები, მტკიცე ბრძოლა გამოგვეცხადებინა ნაკლოვანებათა წინააღმდეგ.

მთლიანად განვლილი ხუთწლედის შედეგები მოწმობს, რომ ეკონომიკაზე და სოციალური განვითარების ყველა მიმართულებით ჩვენმა ქვეყანამ წინ წაიწია. ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში მიღწეული მიჯნები შესაძლებლობას გვაძლევს გადავწყვიტოთ კიდევ უფრო მასშტაბური ამოცანები. სწორედ ეს ამოცანებია განხილული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში.

მომავალი ათწლეული, ნათქვამია პროექტში, ახალი დიდი ეტაპია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაში, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში.

ოთხმოცდაერთ წლებში კომუნისტური პარტია აკანონებს თანმიმდევრულად განახორციელებს თავის ეკონომიკურ სტრატეგიას, რომლის უმაღლესი მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, უკეთესი პირობების შექმნა იმისათვის, რომ ყოველმხრივ განვითარდეს პიროვნება მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, შრომის ნაყოფიერების გაზრდის, საბჭოთა ადამიანების სოციალური და შრომითი აქტიურობის ზრდის საფუძველზე.

ამ გრძელვადიანი ამოცანების განხორციელებაში პასუხსაგები ეტაპი გახდება მეთერთმეტე ხუთწლედი, რომლის მთავარი ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა სახალხო მეურნეობის მყარი, შეუნელებელი განვითარების საფუძველზე, დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გადავიყვანოთ ეკონომიკა ინტენსიური განვითარების გზაზე, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ქვეყნის საწარმოო კოტენციალი, ყოველი ღონისძიებით დავზოგოთ ყოველგვარი რესურსები და გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი.

ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის პარტიას საჭიროდ მიაჩნია, რომ განვახორციელოთ ხალხის კეთილდღეობის თანამიმდევრული გაუმჯობესების ღონისძიებათა სისტემა; უზრუნველყოთ ეკონომიკის შეუნელებელი ზრდა, სრულყოთ საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურა, მტკიცედ ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და გავაუმჯობესოთ პროდუქციის და მომსახურების ხარისხი ხახალხო მეურნეობის ყველა დარგში მისი ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის საფუძველზე; უზრუნველყოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარება; გავაძლიეროთ ბუნების დაცვა; სრულყოთ მართვა და ავამაღლოთ მეურნეობრიობის დონე ეკონომიკის ყველა რგოლში, გავაძლიეროთ მათი ორიენტაცია საუკეთესო საბოლოო შედეგების მისაღწევად; ავამაღლოთ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის ეფექტიანობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეთმობა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, რომელიც უფრო მეტად უნდა შეეუსატყვისოთ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი პროგრესის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრას, ინტენსიური განვითარების გზაზე ეკონომიკის გადაყვანის დაჩქარებას. აქედან გამომდინარე უნდა უზრუნველყოთ უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრის მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების შემუშავება-რეალიზაცია; არსებითად შევამცირეთ ახალი ტექნიკის შექმნისა და ათვისების ვადები, გავაძლიეროთ მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთკავშირი; განვამტკიცოთ სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მეცნიერულ-ტექნიკური და საცდელ-საწარმოო ბაზა; ოპერაციულად შეცვალოთ კვლევისა და ნამუშევრების მომართულება, სამეცნიერო დაწესებულებათა ორგანიზაციული სტრუქტურა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნათა — შესაბამისად; დავსვეწოთ მეცნიერული კადრების მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და ატესტაცია; ყოველნაირად შეუწყოთ ხელი გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მასობრივი მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედების შემდგომ განვითარებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი ითვალისწინებს მთელი ჩვენი ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი ხუთწლეულში გაიზრდება 18-20 პროცენტით.

მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება წარმოების საშუალებებზე, მოსახლეობისა კი—სახალხო მოხმარების საქონელზე, უზრუნველყოთ წარმოების ინტენსიფიკაცია და ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ყოველმხრივი გამოყენების საფუძველზე. ამასთან მოსახლეობისათვის განკუთვნილი საქონლის წარმოების გადიდება და მისი ხარისხის გაუმჯობესება მრეწველობის ყველა დარგის, ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის უპირველეს ამოცანად, ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს განსაკუთრებული ზრუნვის საგნად არის მიჩნეული.

სამრეწველო პროდუქციის წარმოება გადიდდება 26-28 პროცენტით, მათ შორის წარმოების საშუალებებისა — 26-28 პროცენტით და მოხმარების საგნებისა — 27-29 პროცენტით. სამრეწველო წარმოების ზრდის მასშტაბს მოწმობს ასეთი ციფრები. 1985 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენს 1.550-1.600 მილიარდ კილოვატსაათს, ნავთობის მოპოვება, გაზის კონდენსატის ჩათვლით — 620-645 მილიონ ტონას, ქვანახშირისა — 770-800 მილიონ ტონას, შავი ლითონების მზა ნაგლინის წარმოება — 117-120 მილიონ ტონას. კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის გამოშვება გაიზრდება სულ ცოტა 1,4-ჯერ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მრეწველობის სტრუქტურის სრულყოფას, მომპოვებელი და დამუშავებელი დარგების განვითარებაში შეწონასწორების უზრუნველყოფას, იმ პროდუქციის გამოშვების დაჩქარებულ ზრდას, რომელიც განსაზღვრავს ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობაში, ახალი მაღალეფექტიანი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და წარმოებაში დანერგვის მასშტაბის მნიშვნელოვან გადიდებას, კონსტრუქციული მასალების ნომენკლატურისა და ასორტიმენტის გაფართოებასა და სისტემატურ განახლებას, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების გაუმჯობესებას, მატერიალური რესურსების მომჭირნეობის უზრუნველყოფას. გათვალისწინებულია აგრეთვე ავამაღლოთ პროდუქციის რენტაბელობა, შევამციროთ თვითღირებულება, სრულყოთ სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის ფორმები, ავამაღლოთ მისი სპეციალიზაციისა და კოოპერირების დონე, მნიშვნელოვნად გავაფართოოთ მოქმედი საწარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის მასშტაბი, დავნერგოთ პროგრესული ტექნოლოგია, შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაცია, გავაუმჯობესოთ საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების გამოყენება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი შეიცავს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ვრცელ დახასიათებას, რომლის ძირითადი საფუძველია ქვეყნის საიმედო უზრუნველყოფა სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით.

სასურსათო პროგრამის წარმატებული რეალიზაციის მიზნით გათვალისწინებულია უზრუნველყოთ ერთიანი დაგეგმვა, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების პროპორციული და შეწონასწორებული განვითარება, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვანი განმტკიცება, დარგთაშორის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების, მისი დაცვა-შენახვის, ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და მომხმარებლამდე მიტანის გაუმჯობესებისათვის ზუსტი ურთიერთმოქმედების ორგანიზაცია.

სოფლის მეურნეობაში ამოცანად დასახულია, რომ მივაღწიოთ ყველა დარგის დინამიკურ განვითარებასა და ეფექტიანობის ამაღლებას, პროდუქციის წარმოების ზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებას, ამასთან განვაგრძოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის კურსი. გადაწყდა აგრეთვე მტკიცედ დავნერგოთ მოწინავე გამოცდილება, სრულყოთ შრომისა და წარმოების ორგანიზაცია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მნიშვნელოვნად ავამაღლოთ მიწის, საწარმოო ფონდების, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, განვახორციელოთ სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების ღონისძიებანი.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება ხუთწლეულში გაიზრდება 12-14 პროცენტით. მარცვლეულის საშუალო წლიური მთლიანი მოსავალი უნდა გავზარდოთ 238-248 მილიონ ტონამდე, სამი ბამბისა — 9,2-9,8 მილიონ ტონამდე, შაქრის ჭარხლისა — 100-103 მილიონ ტონამდე, ხორცის წარმოება — 17-17,5 მილიონ ტონამდე, რძისა — 97-99 მილიონ ტონამდე, კვერცხისა სულ ცოტა 72 მილიარდ ცალამდე და მატყლისა — 470-480 ათას ტონამდე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტით გათვალისწინებულია კიდევ უფრო განვავითაროთ მიწების მელიორაცია, გავზარდოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ქიმიზაციის საშუალებათა მიწოდება და უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ისინი, განვაგრძოთ სოფლის მეურნეობის ტექნიკური განახლება, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ხუთწლედის მანძილზე მიიღებენ 1870 ათას ტრაქტორს, 1450 ათას სატვირთო ავტომობილს, 600 ათას მარცვლასალიდ კომბაინს, მრავალ სხვა ტექნიკას, აგრეთვე მინერალურ სასუქებს, ქიმიურ საკვებ დანამატებსა და მცენარეთა დაცვის საშუალებებს, თანამიმდევრულად განვითარდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეოთაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის საფუძველზე.

კვების მრეწველობის დარგებში პროდუქციის გამოშვება 28-26 პროცენტით გადიდდება, სწრაფი ტემპით განვითარდება ფქვილ-ბურღულეულის, კომბინირებული საკვებისა და მიკრობიოლოგიური მრეწველობა.

გადაზიდვა-გადაყვანაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად და დროულად დაკმაყოფილების მიზნით დასახულია კიდევ უფრო განვითარდეს ყველა სახეობის ტრანსპორტი.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მასშტაბსა და ტემპს ბევრად განსაზღვრავს მშენებლობის ტემპი და ხარისხი. ხუთ წელიწადში სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებანი 12-15 პროცენტით გაიზრდება. დასახულია ამოცანა ძირეულად გავაუმჯობესოთ კაპიტალური მშენებლობა, გავზარდოთ კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობა. ამ მიზნით გათვალისწინებულია მთავარი ყურადღება მივაპყროთ ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების დროული ამოქმედების უზრუნველყოფას, სახსრებსა და რესურსებს თავი მოვუყაროთ დიდმნიშვნელოვან მშენებლობებზე, კაპიტალდაბანდებანი გამოვყოთ, უწინარეს ყოვლისა, საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის და ადრე დაწყებულ მშენებლობათა დამთავრებისათვის, შევამციროთ მშენებლობის ვადები, გავაუმჯობესოთ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმე.

„მატერიალური უსაფუძვლობანი და სულიერი ღირებულებანი — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტში, — იქმნება მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის გარჯით, მხოლოდ შრომაა ეროვნული სიმდიდრის გამრავლების წყარო. საზოგადოებას შეუძლია მხოლოდ იმის განაწილება, რაც აწარმოა. ამიტომ, რაც უფრო მაღალია შრომის შედეგები, მით უფრო მტკიცდება სოციალისტური სამშობლოს ძლიერება, მით უფრო სრულყოფილად ემაყოფილდება პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი, მით უფრო მაღალია საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე“. თავის მხრივ შრომის შედეგები მით უფრო დიდია, რაც უფრო მაღალია მისი ნაყოფიერება. ხუთწლედში ეროვნული შემოსავლის მატების სულ ცოტა 85-90 პროცენტი მიღებული იქნება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტში დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამას. ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი გაიზრდება 16-18 პროცენტით. მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო თვიური ხელფასი გადიდდება 18-16 პროცენტით და ხუთწლედის დამლევამდე მისი დონე გაიზრდება თვეში 190-195 მანეთამდე, კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობისაგან მიღებული კოლმეურნეთა შემოსავალი — 20-22 პროცენტით. გარდა ამისა, გაძლიერდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებისა და შეღავათების როლი, რომლებიც ხუთწლედის მანძილზე 20 პროცენტით გადიდდება. ხუთწლედის მანძილზე დასახულია აშენდეს 530-540 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში დასახულია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანებს შეუქმნან შრომისა და დასვენების, განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების, ჯანმრთელობის დაცვის, ოჯახის განმტკიცების, ბავშვების აღზრდის რაც შეიძლება ხელშემწყობი პირობები. კიდევ უფრო განვითარდება სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება და საყოფაცხოვრებო მომსახურება, ხალხის განათლება. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებიდან მაღალკვალიფიციური მუშების გამოშვება ხუთ წელიწადში გაიზრდება 18 მილიონამდე, მომზადდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე დაახლოებით 10 მილიონი სპეციალისტი. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების განვითარებისათვის, რათა ამაღლდეს მათი როლი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, საბჭოთა ადამიანების მრავალფეროვან სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების საქმეში.

ხუთწლედისათვის დაგეგმილი წარმოების ზრდა მოითხოვს საწარმოო ძალების უკეთ განლაგებას, რაც შესაძლებელია მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიკური რაიონების მეურნეობის შემდგომი სპეციალიზაციისა და ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში პროპორციული განვითარების საფუძველზე. კიდევ უფრო განვითარდება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკა, დაჩქარებულად გაიზრდება ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების ეკონომიკური პოტენციალი.

გათვალისწინებულია კიდევ უფრო განვითარდეს სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობა, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტურ ქვეყნებთან, აქტიური მონაწილეობა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავების საქმეში. განვითარდება ურთიერთხელსაყრელი საქონლის გაცვლა და სხვა კავშირურთიერთობა განვითარებად ქვეყნებთან. სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებიდან და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების დამკვიდრების საჭიროებიდან გამომდინარე დასახულია განხორციელდეს სტაბილური ურთიერთხელსაყრელი კავშირურთიერთობა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, რომლებიც იჩენენ დაინტერესებას საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობით.

პროგენა სპეციალური განყოფილება ეძღვნება მართვის შემდგომ სრულყოფას, მეურნეობრიობის დონის ამაღლებას ეკონომიკის ყველა რგოლში. მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა დაინერგოს პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერების ღონისძიებათა კომპლექსი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ მეთერთმეტე ხუთწლედისათვის სახელმწიფო გეგმის შედგენის ბაზაა. იგი ჩვენს ქვეყანას უსახავს ახალ ჰორიზონტებს, ახალ შთამაგონებელ პერსპექტივებს. პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა იწყება ხაერთო პატრიოტული აღმავლობის ატმოსფეროში და, უეჭველია, მასების ახალ პოლიტიკურ და შრომითს აქტიურობას გამოიწვევს.

ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის, ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში, საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ საბჭოთა წყობილების უღლევი ძალები, ქვეყნის უზარმაზარი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, მდიდარი ბუნებრივი რესურსები. მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი, ჩაიყენონ რეზერვები სახალხო მეურნეობის სამსახურში, მკვეთრად აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა — ეს არის პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივების, თითოეული საბჭოთა ადამიანის ვალი.

მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანათა შესრულება ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფას მოითხოვს. უნდა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა კადრებისადმი დადგენილ დავალებათა შესრულებისათვის, მუშაობაში მაღალი ორგანიზებულობისა და სიზუსტისათვის, საგეგმო დისციპლინის მკაცრი დაცვისათვის, ჩავუნერგოთ მათ გერგილიანობა, პასუხისმგებლობა და ინიციატივა.

ყველა პარტიული კომიტეტი და პარტიული ორგანიზაცია მოწოდებულია დაარწმუნოს მშრომელები საგეგმო დავალებათა უფრო შესრულებისათვის ყველა საწარმოო კოლექტივში ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე, სრულყონ მუშაობის სტილი და მეთოდები, შეუწყონარებლად მოეკიდონ ბიუროკრატიზმს და ხაქმის გაჭიანურებას. პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში პასუხსაგები როლი განეკუთვნება სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, პროფკავშირებს, ლენინურ კომკავშირს. საჭიროა გავშალოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, წარმოების რეზერვების სრული მობილიზაციის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უსწრაფესი დანერგვის, ყოველივე ამას რაციონალური გამოყენებისათვის, რაც კი ხალხის გარჯით შექმნილა.

ხუთწლედის წარმატებით შესრულება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების სათანადო დონეზე შენარჩუნებას, კიდევ უფრო აამაღლებს მის საერთაშორისო ავტორიტეტს, ხელს შეუწყობს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცებასა და მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა ხალხი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით ახალ მიღწევებს მოიპოვებს კომუნისტურ მშენებლობაში, ბევრი ეკონომიკური და სოციალური პრობლემის გადაჭრაში, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

ПРАВДА

3 დეკემბრის მოწინავე

ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს

ფრენის მართვის ცენტრი, 2 დეკემბერი. (საკადესი). მეხუთე დღეა „სალუტ-6“ — „სოიუზ ტ-3“ — „პროგრეს-11“ ორბიტულ კომპლექსში მუშაობს ეკიპაჟი ლეონიდ კიზიმის, ოლეგ მაკაროვისა და გენადი სტრეკალოვის შემადგენლობით.

ფრენის დასახული პროგრამის შესაბამისად კოსმონავტები განაგრძობენ სადგურის დეტალური გამოკვლევასა და მისი საბორტო სისტემების კონტროლს. მოწმდება მართვის პულტების, ელექტრული კომუნიკაციების, ინტერიერის მდგომარეობა. წინა დღეებში მოეწყო სადგურის თერმორეგულირების სისტემის შეკეთების მოსამზადებელი საბუშაოები.

პროფილაქტიკური ღონისძიებების პარალელურად ეკიპაჟი ეწევა დაგეგმილ სამეცნიერო-ტექნიკურ კვლევას. „შენდლობის“ ელექტროსახურებელ ღუმელში გრძელდება გუშინ დაწყებული ნაკადი, რომლის მიზანია უწონობის მდგომარეობაში კადმიუმ-ვერცხლისწყალ-ტელურის ნახევარგამტარი ნაერთის მიღება, დღის მეორე ნახევარში დანადგარ „კრისტალზე“ მოეწყობა ექსპერიმენტი კოსმოსურ მასალათმცოდნეობაში ექსპერიმენტ „მიკროკლიმატი“ დროს ზომავენ კომპლექსის სალუზოვრებელ ნაკვეთურებში ატმოსფეროს ტემპერატურას, ტენიანობასა და სხვა პარამეტრებს.

კოსმონავტები აკონტროლებენ აგრეთვე ბიოლოგიურობიექტებიანი აპარატურის მუშაობას, ასრულებენ ფიზიკურ ვარჯიშს ველოერგომეტრსა და „მსრბოლ ბილიკზე“.

ეკიპაჟის მოხსენებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად „სალუტ-6“ — „სოიუზ ტ-3“ — „პროგრეს-11“ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

კოსმონავტები ამხანაგებს კიზიმი, მაკაროვი და სტრეკალოვი თავს კარგად გრძნობენ.

ჯილდოს გადაცემა

3 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ჩ. ლოგეტინსკიმ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ბ. ნ. პონომარიოვს გადასცა ძლევამოსილი თებერვლის ორდენი. ამ საპატიო ჯილდოთი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა აღნიშნა ბ. ნ. პონომარიოვის დამსახურება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამხანაგური თანამშრომლობის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობის განვითარებაში. (საკადესი).

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის სხდომის შედეგების შესახებ

1-3 დეკემბერს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ ბუქარესტში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი. სხდომას თავმჯდომარეობდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-მაიორი კ. ოლტიანუ.

თავდაცვის მინისტრთა კომიტეტმა განიხილა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მომდინარე საქმიანობის საკითხები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სხდომამ საქმიან ვითარებაში, მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ოფიციერთა კადრების მომზადებაში დიდი დამსახურებისათვის **თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებელი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის ორდენით.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

პარტიის კურსი ხალხის კეთილდღეობა

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი ყურადღებით, გულდასმით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“. „კომუნისტის“ რედაქციამ ამის თაობაზე უკვე გუშინვე მიიღო სახალხო მეურნეობის, კულტურის, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკთა წერილები, რომელთა ავტორები ერთსულოვნად იწონებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის გეგმებსა და კურსს, გამოხატავენ მზადყოფნას იშრომონ უფრო მეტი მონდომებით, პასუხისმგებლობით, თავიანთი წვლილი შეიტანონ იმ გრანდიოზული პროგრამის წარმატებით შესრულებაში, სკკპ მორიგი, XXVI ყრილობა რომ დაუსახავს ქვეყნის პარტიულ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებს.

წინ ახალი მიჯნებია

დავითაშვილი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე პირობებში ადვილი როდია სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში გაუსწრო დროს, ვადამდე შეასრულო გეგმა-ვალდებულებები. და მით უფრო სასიხარულოა, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა შეძლეს ამის გაკეთება — სამობლოს ვადამდე უპატაკეს მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულება.

გვეამაყება, რომ ასეთ სასახელო გამარჯვებაში აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკის, ბათუმის და, კერძოდ, ჩვენი სამკერვალო გაერთიანების მშრომელთა წვლილიც არის, რომლის კოლექტივმა მეათე ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დღისათვის შეასრულა, ხოლო წლის ბოლომდე მომზმარიელს კიდევ 3 მილიონი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას მიაწვდის. ხუთწლედის განვლილ პერიოდში გაერთიანების 60 სახეობის ნაწარმს ხარისხის ნიშანი მიენიჭა.

დიახ, მიღწევები კი გვაქვს, მაგრამ ეს არ კმარა. მით უმეტეს ახლა, როდესაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981–1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები“ — საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ამაღლების, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი ზრდის უტყუარი გარანტია.

გაერთიანების კომუნისტები, მშრომელები ახლა გულდასმით ეცნობიან ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს, ერთსულოვნად იწონებენ მას და სახავენ ღონისძიებებს, რათა მომავალ, მეთერთმეტე ხუთწლედში უფრო წარმატებული იყოს ჩვენი საქმიანობა, უფრო მეტი იყოს ჩვენი წვლილი რესპუბლიკის მშრომელთა საერთო წარმატებებში.

მომავალი ხუთწლედისათვის კი სერიოზული გეგმები გვაქვს: წარმოების მოცულობა უნდა გავზარდოთ 22 პროცენტით, გამოვუშვათ კიდევ 20 სახეობის სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქცია, დავზოგოთ ათასობით მეტრი ქსოვილი, სხვა ნედლეული, საექსპლოატაციოდ გადავცეთ გაერთიანების ხულის ფილიალი, კაპიტალური რემონტი დავამთავროთ ფოთის სამკერვალო ფაბრიკაში, რეკონსტრუქცია გავუკეთოთ გაერთიანების მეთაურ — ბათუმის საწარმოს და სხვ.

ყველაფერი ეს გვაძლევს გარანტიას ვთქვათ — ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ მეთერთმეტე ხუთწლედი ჩვენთვის კიდევ უფრო წარმატებული იყოს.

ლ. ცეცხლაძე,
ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი.

შთამბეჭდავი პერსპექტივები

ყოველი შესრულებული ხუთწლედი ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის ახალი ნიშანსვეტი იყო კომუნისტური აღმშენებლობის გზაზე.

მომავალი, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა დამახასიათებელი თავისებურებაა ზრუნვა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით პასუხსაგები და საპატიო მოვალეობა გვეკისრება ჩვენ, მეცნიერებს, რომლებმაც წინ უნდა წავწიოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981–1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ამაღლების, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი ზრდის უტყუარი გარანტია.

გაერთიანების კომუნისტები, მშრომელები ახლა გულდასმით ეცნობიან ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს, ერთსულოვნად იწონებენ მას და სახავენ ღონისძიებებს, რათა მომავალ, მეთერთმეტე ხუთწლედში უფრო წარმატებული იყოს ჩვენი საქმიანობა, უფრო მეტი იყოს ჩვენი წვლილი რესპუბლიკის მშრომელთა საერთო წარმატებებში.

მომავალი ხუთწლედისათვის კი სერიოზული გეგმები გვაქვს: წარმოების მოცულობა უნდა გავზარდოთ 22 პროცენტით, გამოვუშვათ კიდევ 20 სახეობის სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქცია, ეკონომიკური ეფექტიანობა 3 მილიონი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას მიაწვდის. ხუთწლედის განვლილ პერიოდში გაერთიანების 60 სახეობის ნაწარმს ხარისხის ნიშანი მიენიჭა.

ლ. ბერეგვაძე,
ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი.

ჩვენი წვლილი

ახლახან გაზეთებში გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXVI ყრილობისათვის „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ ჩვენი კოლექტივის ყურადღების ცენტრშია. ქარხნებში, საამქროებში, უბნებზე, ბრიგადებში დიდი ინტერესით ეცნობიან, განიხილავენ და იწონებენ პარტიის ამ ისტორიულ დოკუმენტს.

გაერთიანებაში შემავალმა საწარმოებმა ორი თვით ადრე შეასრულეს ხუთწლედის დავალება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელი გეგმის გადამეტებით 8.700 ათასი მანეთის გაუმჯობესებული ხარისხის მარეგულირებელ მექანიზმებს, ელექტროავტომატებს, სასიგნალო არმატურას, პლასტმასის დეტალებს, ფართო მოხმარების საქონელს მიიღებს.

პროექტში, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ნათქვამია, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაითმობა ისეთი მოწყობილობების შექმნას და გამოშვების ათვისებას, რომელსაც აქვს უფრო მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი, ფერადი ლითონებისა და სხვა ძასალების უმცირესი ხვედრითი ხარჯი. მომავალ ხუთწლედში ჩვენი გაერთიანებაც აითვისებს სწორედ ისეთი სახეობის ელექტროგამშვებს, რომელიც საშუალებას მოგვცემს ერთიორად შევამციროთ მისი ლითონტევადობა.

გაერთიანების კოლექტივმა საკმაოდ მძლავრი ბაზა შექმნა მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად. ყველაფერს ვიღონებთ, რათა შეუფერხებლად გადაეწყვიტოთ ჩვენ წინაშე მდგომი ყველა ამოცანა.

რ. ჩიტიშვილი,
თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ ამწყობი ზეინკალი.

ყველა რეზერვს ავამოქმედებთ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“, რომელსაც ზესტაფონის რაიონის სოფელ მორე სვიროს კოლმეურნეობის მშრომელები დიდი გულისყურით ეცნობიან, ეფექტიანად, ინტენსიურად, ინდივიდუალურ-ბრიგადულ ფორმებში ... ეფექტიანობით სიამაყით აღავსებს.

— პარტიის ხალხის კეთილდღეობისა შესახებ ... ეკონომიკურ პროგრამაში ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი აღძრა იმ ადგილმა, სადაც ყურძნის წარმოების გადიდებაზეა ლაპარაკი. ჩვენ ხომ მეათე ხუთწლედში 20 ათასი ტონა ყურძენი მივიტანეთ სახელმწიფო მარანში. ეს გარკვეული წვლილია რესპუბლიკის მიერ ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში, მაგრამ მოსავალი გაცილებით ხვავრიელი გვექნებოდა, რომ ყველა რეზერვს მაქსიმალურად ვიყენებდეთ. განსაკუთრებით მოვიკოჭლეთ შრომითი რესურსების გამოყენებაში.

მეთერთმეტე ხუთწლედში სხვა პრობლემებიც გვაქვს გადასაპრეული. ჩვენივე სახსრებითა და შესაძლებლობებით უნდა მივხედოთ აბანოს, კლუბს, ბაგა-ბაღს, რომლებიც უკვე აღარ შეეფერება ჩვენს ამყამინდელ შეძლებულ ცხოვრებას. ამას გვავალებს დღევანდელობა, კომუნისტთა დიდი ფორუმისათვის სამზადისი.

ბ. ბრეგვაძე,
ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი.

საერთაშორისო ტურიზმის სიკეთე

თბილისში მუშაობა დაიწყო სოციალისტური ქვეყნების მოგზაურობათა ბიუროების სამსახურების მუშაკთა სხდომამ, რომელიც განიხილავს საერთაშორისო ტურიზმის, მათ შორის აგრეთვე სპორტული ტურიზმის შემდგომი გაფართოების აქტუალურ ამოცანებს, საერთაშორისო კონგრესების, სიმპოზიუმებისა და თათბირების ორგანიზაციის საკითხებს.

თათბრის მუშაობაში მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები.

თანამედროვე მსოფლიოში, როცა სულ უფრო ფართოვდება კონტაქტები ქვეყნებს შორის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უცხოეთის ტურიზმი, საერთაშორისო ტურიზმი, საერთაშორისო კონგრესები და სიმპოზიუმები. ამ მხრივ კარგი მაგალითია სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება. თითოეულ დელეგაციასა და ჯგუფს, რომელიც მონაწილეობს ამ ქვეყნებში მოწყობილ საერთაშორისო შეხვედრებში, საშუალება ეძლევა იმოგზაუროს ქვეყანაში, გაეცნოს მისი ხალხის ცხოვრებას, ისტორიასა და კულტურას.

წარმომადგენლობითი საერთაშორისო თათბირების მოწყობის დიდი გამოცდილებაა შეძენილი ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის საბჭოთა საქართველოშიც. სწორედ ამან განსაზღვრა ის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში გამართულიყო სოციალისტური ქვეყნების მოგზაურობათა ბიუროების სამსახურების მორიგი სხდომა.

კომისიის პირველი სამუშაო სხდომა გახსნა მისმა თავმჯდომარემ, უნგრეთის მოგზაურობათა ბიუროს „იბუსის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ ლ. ჰაანმა.

სხდომის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსი ლ. მატარაძე.

სხდომის მუშაობა 4 დეკემბრამდე გასტანს (საქინფორმი).

ქართველი პიანისტის წარმატება

ტოკიო, 3 დეკემბერი. (საკდესის კორ.). „ახალგაზრდა საბჭოთა პიანისტის დაკვრაში ახალგაზრდული უშუალობა ეხამება ოსტატის ტექნიკურ სიმწიფეს“, — წერს იაპონიაში ქართველი პიანისტის ეთერ ანჯაფარიძის გასტროლების გამო გაზეთი „იომიური“. საბჭოთა საქართველოს ხელოვნების წარმომადგენლის გამოსვლებს მუდამ დამსახურებული წარმატება ჰქონდა იაპონელ მაყურებლებს შორის. მისი ყოველი კონცერტის შემდეგ დარბაზში ქუხდა ტაში და პიანისტი კვლავ უბრუნდებოდა როიალს, ასრულებდა რუსი, საბჭოთა და საზღვარგარეთელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. „ე. ანჯაფარიძის საშემსრულებლო ოსტატობა მოწმობს საბჭოთა პიანისტური სკოლის მაღალ დონეს“, — ასეთია იაპონელ მსმენელთა ერთსულოვანი აზრი.

ქართველი პიანისტის პროგრამაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა ფ. შოპენის მუსიკას. „ამ კომპოზიტორის რომანტიკული ნაწარმოებები კარგად არის ცნობილი იაპონიაში, მაგრამ ე. ანჯაფარიძემ მათი ახალი მხარე გვიჩვენა, ხაზი გაუსვა მისი მუსიკის ღრმა დრამატიზმს“, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში „იაპონური ხელოვნების“ კორპორაციის თავმჯდომარემ იასუო ნაკატომ. საბჭოთა ხელოვანთა გასტროლები იაპონიაში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს შესრულების მაღალი ოსტატობისა და საბჭოთა ხელოვნების კეთილშობილური ჰუმანისტური შინაარსის გამო, რაც ხშირად აკლია დასავლეთის ხელოვანთა შემოქმედებას, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

ა. პრეობრაჟენსკი.

საერთაშორისო ცხოვრება

დედამიწის ჯურნალი

მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის ინიციატივებს

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველმა კომიტეტმა დაამთავრა განიარაღების საკითხების განხილვა და მიიღო 40-ზე მეტი რეზოლუცია, რომლებშიც დასახულია სამხედრო საფრთხის შემცირებისა და საერთაშორისო შვიდიდობის განმტკიცებისათვის გამიზნული კონკრეტული გზები და ღონისძიებები. გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლის ამ პროგრამას საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის ინიციატივები, რომლებიც შეესაბამება მეტ წილ სახელმწიფოთა მისწრაფებას დააყენონ განიარაღება პრაქტიკულ რელსებზე, და ამიტომ დისკუსიის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო. შემთხვევითი როდია, რომ გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე წამოყენებულ საბჭოთა კავშირის წინადადებებს ფართოდ დაუჭირეს მხარი თავიანთ გამოსვლებში სულ სხვადასხვა ქვეყნის დელეგატებმა.

უაღრესად კონსტრუქციული უწოდა საბჭოთა წინადადებებს ნიგერიის წარმომადგენელმა ო. ადენჯიმ, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ მათი რეალიზაცია ნამდვილ წვლილს შეიტანს შვიდიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებაში.

საერთაშორისო ვითარების ახლანდელი გამწვავება, აღნიშნა ინდოეთის წარმომადგენელმა ს. პ. მიტალმა, გვავალებს კიდევ უფრო ენერგიულად ვიღვაწოთ მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის. სწორედ ამ თვალსაზრისით, თქვა მან, ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებული ინტერესით ეკიდება სსრ კავშირის მიერ წამოყენებულ წინადადებებს და სერიოზულ ყურადღებას უთმობს მათ.

მექსიკის წარმომადგენელმა ალფონსო გარსია რობლესმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის იდეას ბირთვული აფეთქებათა ერთწლიანი მორატორიუმის გამოცხადების თაობაზე.

დისკუსიის დროს პირველმა კომიტეტმა მოიწონა საბჭოთა კავშირის მოწოდება, თავი შეიკავონ არსებულ სამხედრო დაჯგუფებათა გასაფართოებლად გამიზნული მოქმედებისაგან, მხარი დაუჭირა სსრ კავშირის წინადადებას, რომ შეთანხმებული თარიღიდან უარი თქვან საკუთარი შეიარაღებული ძალების გაფართოებასა და ჩვენ-ულებრივი შეიარაღების გადიდებაზე.

კომიტეტმა აგრეთვე მხარი დაუჭირა იმას, რომ სასწრაფოდ განხორციელდეს საერთაშორისო კონვენციის დადების გზით უბირთვო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცების საბჭოთა იდეა. სესიაზე ფართო აღიარება ჰპოვა საბჭოთა კავშირის წინადადებამ, რომ ბირთვულმა სახელმწიფოებმა „გამოაცხადონ ყველა ბირთვული აფეთქების მორატორიუმი.

განიარაღების პრობლემათა განხილვის დროს ნეგატიური პოზიცია დაიკავეს ამერიკის შეერთებული შტატების და მისი ნატოელი პარტნიორების წარმომადგენლებმა, რომლებსაც არც ერთი კონსტრუქციული იდეა არ წამოუყენებიათ. უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ არ მოიწონა ან მხარი არ დაუჭირა განიარაღების თაობაზე შეტანილი ყველა რეზოლუციის დაახლოებით ნახევარს.

პირველი კომიტეტის გადაწყვეტილებებმა ცხადყო, რომ მსოფლიოს სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა იზიარებს მისწრაფებას მიზანდასახული მოქმედებისადმი პოლიტიკური დაძაბულობის შენელების შეარჩევნებისა და სამხედრო დარგში დაძაბულობის შენელებით მისი შედეგების მიზნით.

ინდირა განდის განცხადება

დელი. ინდოეთი ემზადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის შესახვედრად.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ლ. ი. ბრეჟნევის მომავალ ვიზიტს, განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ საბჭოთა ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში. ამჟამად, როცა ვითარება მსოფლიოში სწრაფად იცვლება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აზრთა გაზიარება. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ გავიგოთ საბჭოთა კავშირის პოზიცია მრავალი საკითხის მიმართ. მეორე მხრივ, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელს შესაძლებლობა მიეცემა გაეცნოს იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ჩვენს პრობლემებსა და მიღწევებს.

ჩვენ მიგვაჩნია, ხაზი გაუსვა პრემიერ-მინისტრმა, რომ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ჩვენს მეგობრობას პრინციპული საფუძველი აქვს. იგი ემყარება აგრეთვე იმას, რომ საბჭოთა კავშირი ეკონომიკურად გვეხმარებოდა და მორალურად გვიჭერდა მხარს, როცა ეს გვჭირდებოდა. ჩვენი აზრით ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს კარგი ურთიერთობა აქვთ. რა თქმა უნდა, რაგინდ კარგი უნდა იყოს ურთიერთობა, რა თანხმობაც უნდა სუფევდეს, ზოგჯერ შესაძლოა წარმოიქმნას გარკვეული პრობლემები მათი განსხვავებული მიდგომის გამო. მაგრამ მე მგონია, რომ ჩვენი ორივე სახელმწიფო აღსავსეა სურვილით განმტკიცონ ჩვენ შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა, შეინარჩუნონ იგი მომავალშიც. ყოველთვის, როცა კი სსრ კავშირში ჩავსულვარ, უაღრესად გულთბილად უმასპინძლია ჩემთვის საბჭოთა ხალხს, და მეც, რა თქმა უნდა, ასეთივე გულთბილი გრძნობით ვარ გამსჭვალული საბჭოთა ხალხისადმი.

საბჭოთა კავშირმა, თქვა შემდეგ ი. განდიმ, მისცა სასახელოდ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სხვადასხვა დარგში. განსაკუთრებით დიდია ეს წარმატებები მეცნიერების დარგში, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში.

დიდად შთამბეჭდავია ის, რაც საბჭოთა კავშირში კეთდება ბავშვებისათვის, ვინაიდან ბავშვები ჩვენი მომავალია.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ყოველივე საუკეთესო ვუსურვო საბჭოთა ადამიანებს, განაცხადა ინდირა განდიმ. საბჭოთა ხალხმა ბევრს მიაღწია, და ვუსურვებ მას შემდგომ წარმატებებს.

პროვოკაციული პოზიცია

ვაშინგტონი, 3 დეკემბერი. როგორც აქ ცნობილი გახდა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბეჟზინსკი, ისევე როგორც კარტერის ადმინისტრაციის მთელი რიგი სხვა ოფიციალური პირები, ამას წინათ შეხვდა ზოგიერთ პოლონელ „პოლიტოლოგს“, რომლებიც შეერთებულ შტატებში იმყოფებოდნენ ეგრეთ წოდებული სამეცნიერო გაცვლის პროგრამით. ბეჟზინსკი თანამოსაუბრეებს აძლევდა პროვოკაციულ შეკითხვებს, არსებითად მოუწოდებდა, რომ „პოლონეთის ოპოზიციურმა ძალებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიონ“ ხელისუფალთ, კიდევ უფრო მეტი ზეგავლენა მოახდინონ მთავრობაზე. ამ საუბრების დროს ითქვა, რომ, პოლონეთი და მისი ეკონომიკა „ანარქიის ხანაში შევიდა“ და რომ ამ ძალებმა ეს გარემოება უნდა გამოიყენონ ქვეყანაში ვითარების დეტაბილიზაციისა და თავიანთი პოზიციების განმტკიცებისათვის.

აქ აღნიშნავენ, რომ ბეჟზინსკი სარგებლობს თვის ყოფნით ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის შემადგენლობაში, კვლავაც ადგას დაძაბულობის გაღვივების გზს და არსებითად განაგრძობს თავის წამქეზებლურ საქმიანობას.

ფოტოინფორმაცია



ამერიკის შეერთებული შტატები. ლოს-ანჯელესსა და სან-ფრანცისკოში გაიმართა ამერიკის საზოგადოებრიობის დემონსტრაცია პუერტო-რიკოელ პატრიოტთა დევნის წინააღმდეგ. მანიფესტაციის მონაწილეებმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მოსთხოვეს დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს 11 პუერტო-რიკოელი, რომლებიც სატუსაღოში გამომამწყვდიეს პოლიტიკური მოტივებით.

პოლიციამ „წესრიგის დამყარების“ საბაბით დემონსტრანტები გარეკა, ზოგიერთი მათგანი კი დააპატიმრა.

სურათზე: ლოს-ანჯელესის დემონსტრაციის მონაწილეებს აპატიმრებენ.

აპ-საკდესის ტელეფოტო.

„მეცნიერული“ გამოძიების შედეგი

ვაშინგტონი, 2 დეკემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ხელისუფალნი კვლავ ცდილობენ მიჩქმალონ სიმართლე 1963 წელს დალასში ყოფილი პრეზიდენტის ჯ. კენედის მკვლელობის შესახებ. გამოძიებათა ფედერალურმა ბიურომ „მცდარად“ გამოაცხადა წარმომადგენელთა პალატის სპეციალური კომისიის დასკვნა, რომ მკვლელობა შესაძლოა მოხდა „ფართო შეთქმულების“ შედეგად.

როგორც ცნობილია, ვაშინგტონი იმთავითვე ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა არ დაეშვა „საეჭვონის დანაშაულის“ დაწვრილებითი გამოძიება, და საზოგადოებრიობისათვის დაეშალა ამ ტრაგედიის მიზეზები, მოტივები და შემსრულებელთა ვინაობა. მთავრობის კომისია ეჭვრეთის მეთაურობით სასწრაფოდ ჩატარებული „გამოძიების“ შემდეგ შეეცადა „წერტილი დაესვა“ საქმისათვის, და გამოაცხადა, თითქოს ჯ. კენედი „მარტოხელა მკვლელმა“ იმსხვერპლა. მაგრამ საზოგადოებრიობამ არ ირწმუნა ეს დასკვნა. თანდათანობით ცნობილი ხდება ახალ-ახალი ფაქტები დალასში მომხდარი მკვლელობის შესახებ, იდუმალად „ჩრება“ ტრაგედიასთან ასე თუ ისე დაკავშირებული ათობით ადამიანი, და ყოველივე ამან, ისევე როგორც სპეციალისტების მოწმობამ ამერიკელებს გაუმტკიცა აზრი, რომ ჯ. კენედი შეთქმულებას შეეწირა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ ცხადყო, რომ ამერიკელთა 80 პროცენტი(!) მეტი უარყოფდა უორენის კომისიის დასკვნებს და მოითხოვდა ტრაგედიის უფრო საფუძვლიან გამოძიებას.

ამ მოთხოვნებმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი აიძულა განეახლებინა ჯ. კენედის მკვლელობის გამოძიება. 1976 წელს ამ მიზნით შექმნილმა წარმომადგენელთა პალატის სპეციალურმა კომისიამ ორი წლის მუშაობის შემდეგ უარყო „მარტოხელა მკვლელის“ ოფიციალური ვერსია.

ექსპერტებმა და კონგრესმენებმა გულდასმით შეისწავლეს უორენის კომისიის მიერ უგულებელყოფილი ფაქტობრივი მასალა და დაადგინეს, რომ დალასში პრეზიდენტის კორტეჟს ორი მხრიდან ესროლეს. საბოლოო მოხსენებაში კომისიამ ხაზი გაუსვა, რომ იგი „95 პროცენტით არის დარწმუნებული, რომ ლი ჰარვი ოსვალდის გარდა, კენედის მკვლელობაში მეორე კაციც მონაწილეობდა“.

ეს დასკვნა, როგორც ჩანს, აშკარად არ აძლევდა ხელს ამერიკის შეერთებული შტატების გაგლეწინან წრეებს, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ დალასში მომხდარი დანაშაულის კვალის საბოლოო დაფარვით. მათი ზემოქმედებით გამოძიებათა ფედერალურმა ბიურომ სასწრაფოდ წამოიწყო საკუთარი „მეცნიერული“ გამოძიება. მისი შედეგი სავსებით მოსალოდნელი აღმოჩნდა. საიდუმლო პოლიციამ ყველაფერი იღონა, რათა გაებათილებინა კონგრესის „არასასურველი დასკვნები“ და „დაედასტურებინა“ ხელისუფალთა საამებელი ვერსია ჯ. კენედის წინააღმდეგ „შეთქმულების არარსებობის“ თაობაზე. ამასთან ერთად, გამოძიებათა ფედერალურმა ბიურომ, რომ იტყვიან, „მუნდირის ღირსებაც შეინარჩუნა“: ყველამ იცის, რომ სწორედ მისი რეკომენდაციები დაედო საფუძვლად თავის დროზე უორენის კომისიის დასკვნას „მარტოხელა მკვლელის“ შესახებ.

ი. ლევჩენკო.

ევგობრობის დღესასწაული

რომბრიც მკითხველებმა იციან, იტალიაში მიმდინარეობდა საბჭოთა კულტურის დღეები. ამის თაობაზე „კომუნისტის“ 27 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ჩვენი კორესპონდენტის საუბარი საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრთან **დ. ჩხიკვიშვილთან.**

ეს ინფორმაცია კი ამ დღეების დამთავრებას გვაუწყებს.

რომი. იტალიის აპულიის ოლქში დიდი წარმატებით დამთავრდა საბჭოთა კავშირის დღეები, რომელიც მოეწყო ადგილობრივ ხელისუფალთა, აგრეთვე „სსრ კავშირ-იტალიისა“ და „იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოებათა ინიციატივით.

საბჭოთა კავშირის დღეების მოწყობა აპენინის ნახევარკუნძულზე უკვე კეთილ ტრადიციად იქცა — გასულ წლებში ასეთი დღეები მოეწყო პიემონტში, ვენეტოში, კალაბრიასა და იტალიის მთელ რიგ სხვა ოლქებში. ამჯერად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული ღონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ საქართველოსა და ჯანკეთის წარმომადგენლები.

საბჭოთა კავშირის დღეებმა ათასობით იტალიელს გააცნო ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მიმდინარეობა. აპულიის უდიდეს ქალაქებში მოეწყო სხვადასხვა ფოტოექსპოზიცია, რომლებმაც მნახველებს გააცნეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოსა და ტაჯიკეთში მომხდარი გრანდიოზული გარდაქმნები.

ყოველთვის ხალხმრავლობა იყო ტაჯიკეთის გამოყენებითი ხელოვნების გამოფენის ხტენდეთან, საკვე დარბაზებში მიმდინარეობდა საქართველოს სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის, საქართველოსა და ტაჯიკეთის ბალეტის სოლისტთა გამოსვლები. მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე საბჭოთა კინორეჟისორ ს. ეიზენშტეინის ნახატების გამოფენამ ლეონარდოში, ექსპოზიციამ „საბჭოთა პოლიტიკური პლაკატი“ ბრინდიზში და სხვ.

„იტალიაში საბჭოთა კავშირის დღეების მოწყობა უდავოდ ქმნის საინტერესო წანამძღვრებს ჩვენი ორი ქვეყნის წარმომადგენელთა უფრო მჭიდრო ურთიერთობისა და კონტაქტების დამყარებისათვის, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში „იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ვ. კორგიმ. გარდა ამისა, ისინი ხელს უწყობენ ზოგან ჯერ კიდევ არსებული ცრურწმენის დაძლევას. და, რაც ყველაზე მთავარია, ხაზგასმით აღნიშნა მან, ასეთი ღონისძიებანი ხელს უწყობს ევროპაში ნდობის კლიმატის განმტკიცებას და, რა თქმა უნდა, დაძაბულობის შენელების პროცესის წინსვლას, რაც მეტად მნიშვნელოვანია დღეს, როცა მსოფლიო რთულ პერიოდს განიცდის.

ნ. ტეტერინი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა

ვარშავა, 3 დეკემბერი (საკდესი). ვარშავაში მუშაობა დაამთავრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმმა. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ს. კანიას მოხსენების გამო პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება „პარტიის ამოცანები საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების სოციალისტური ხასიათისათვის ბრძოლაში“.

პლენუმმა დაადგინა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX საგანგებო ყრილობა მოიწვიონ 1981 წლის პირველი კვარტალის დამლევს ან მეორე კვარტალის დამდეგს. შეიქმნა ყრილობის მოსამზადებელი კომისია, რომლის მეთაურობა დაეკვალა ს. კანიას. კომისიის მთავარი ამოცანაა შეიმუშაოს იმ საპროგრამო დოკუმენტების პროექტები, რომლებიც ყრილობისწინა დისკუსიების ყურადღების ცენტრში იქნება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოიყვანეს ე. გიერეკი. პლენუმმა პარტიული კონტროლის ცენტრალურ კომისიას დაავალა განიხილოს პ. იაროშევიჩის პერსონალური საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება მისი პარტიის წევრობის შესახებ.

პლენუმმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა ვ. კრუჩეკი, ა. კარკოშკა, ს. კოვალჩიკი და ა. ვერბლიანი. ა. ვერბლიანი გაათავისუფლეს აგრეთვე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, მოვალეობისაგან.

პლენუმმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებად აირჩია მ. მოჩარი და ტ. გრაბსკი, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად — ტ. ფიშბახი, ცენტრალური კომიტეტის მდივნად — რ. ნეი.

მინისძვრის მსხვერპლთა სავალალო მდგომარეობა

რომი. აქ გამოცხადდა ოფიციალური მონაცემები 23 ნოემბერს სამხრეთ იტალიაში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის მსხვერპლთა რიცხვის შესახებ. დაღუპა 2915 კაცი, 1574 უგზოუკვლოდ დაიკარგა, 7305 დაშავდა. მაგრამ, გაზეთების ერთსულოვანი აზრით, ეს მონაცემები ძალზე შემცირებულია. „საკმარისია ვერტმფრინავით გადაუფრინო უბედურების რაიონს, — წერს დღეს „პაეზი სერა“, — რომ მიხვდე მის ნამდვილ მასშტაბს: არის კიდევ ათობით დანგრეული დასახლებული პუნქტი, სადაც არც კი დაწყებულა მაშველი სამუშაოები“.

დაზარალებული რაიონ

ხუთწლედი

მეათე ხუთწლედი შესრულდა, მაგრამ ხუთწლედი ჯერ არ დამთავრებულა, იგი გრძელდება. და ჩვენ კარგად ვიცით, თუ რაოდენ ბევრი გვაქვს გადასაწყვეტი ამოცანა, ჯერ კიდევ რამდენი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ ყველაზე მოწინავე მიჯნებს ქვეყანაში, აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი.

ე. ა. შევარდნაძე

1980 წლის 1 დეკემბერს თბილისში გამართულ მიტინგზე წარმოთქმული სიტყვიდან.

უდიდესი სიამაყის გრძნობით

აფხაზეთის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა, უდიდესი აღფრთოვანებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სს რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა მეათე ხუთწლედის საგეგმო დავალებანი. ამ სასახარულო მოვლენას მიეძღვნა აფხაზეთის დედაქალაქის მშრომელთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო მიტინგი, რომელიც რკინიგზელთა კულტურის სასახლეში გაიმართა.

მიტინგი გახსნა სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. კიზირიამ.

მიტინგის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულითადი მისალმება საბჭოთა საქართველოს მშრომელებისადმი ყველასათვის იქცა შთამაგონებელ სტიმულად მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლაში. მათ ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით პირობა დადეს, რომ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას არ დაიშურებენ, რათა ახალი შრომითი ნობათებით შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოლოცვასთან დაკავშირებით ქუთაისის ყველა დიდ საწარმოში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები. ლენინის ძეგლის წინ მოედანზე, სადაც შეიკრიბნენ ქუთაისის მშრომელთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, გაიმართა საერთო-საქალაქო მიტინგი. იგი გახსნა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. მელქაძემ.

მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა, რომლებმაც გამოთქვეს თავიანთი შრომითი კოლექტივების ნება, იკისრეს ახალი გადადებული ვალდებულებანი ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტთა მომავალი ფორუმების ღირსეული შეხვედრისათვის.

(საქინფორმი).

საქმე თქვენზეა, ეთერზეთოვანთა დამამზადებლებო!

წელს საქართველომ უნდა დაამზადოს 28 ათასი ტონა ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული. აქედან „საქეთერზეთის“ გაერთიანების მეურნეობებმა უნდა დაამზადონ 21 ათასი ტონა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეურნეობებმა — 5.500 ტონა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეურნეობებმა — 1500 ტონა.

25 ნოემბრისათვის რესპუბლიკაში დამზადებული იყო 14.480 ტონა ეთერზეთოვანი ნედლეული.

ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის დამზადების გეგმის შესრულებას საფრთხე ემუქრება. ეს იმან გამოიწვია, რომ დაგვიანებული გაზაფხულის გამო არ იყო დაცული ნემსიწვერას, რეპანისა და სხვა ეთერზეთოვანი კულტურების რგვისა და თესვის აგროვადები. გარდა ამისა გვაღვიძ, შემდეგ კი წყალდიდობისა და კოკისპირული წვიმების მიზეზით ოჩამჩირის, აბაშის, ცხაკაიას, გულრიფშის, გალისა და ზოგიერთ სხვა რაიონში მნიშვნელოვან ფართობებზე დაიღუპა ამ კულტურების ნათესები.

ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით კეთილშობილი დაფნის დამამზადებელ რაიონებს მიეცათ გეგმა-დავალება — დამზადონ 11 ათასი ტონა დაფნის მწვანე მასა.

მიუხედავად ამისა, დაფნის დამამზადებელი რაიონების საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი არ ახორციელებს ღონისძიებებს ამ განკარგულების შესასრულებლად. დაფნის ფოთოლი უმნიშვნელო რაოდენობითაა დამზადებული.

შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საჭიროა, რომ პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა განახორციელონ დაფნის ფოთლის ჩაბარებისა და გადამუშავების ორგანიზაციის ქმედითი ღონისძიებანი, რათა უთუოდ შეასრულონ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით განსაზღვრული დავალება.

დაფნის ფოთლის გარდა რესპუბლიკას აქვს ეკალიპტის მწვანე მასის დიდი რესურსები. თუ ამ ნედლეულის დამზადება მაღალ დონეზე მოეწყობა, შეიძლება იგი 2 ათას ტონამდე დამზადდეს, რაც ეთერზეთოვანთა დამზადების გეგმის შესრულების მთლიანად უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა.

ქვემოთ მოყვანილია რესპუბლიკაში დაფნის ფოთლის დამზადების მიმდინარეობის ცხრილი 1980 წლის 25 ნოემბრისათვის.

რესპუბლიკაში დაფნის ფოთლის დამზადების მიმდინარეობა რეგიონების მიხედვით 1980 წლის 25 ნოემბრისათვის (ტონობით)

რეგიონის დასახელება	დამზადების გეგმა-დავალება	დამზადებულია	ფაქტობრივად დეფიციტია
აფხაზეთის ასსრ	3750	180	
აჭარის ასსრ	1000	—	
მახარაძის რაიონი	500	5	
ლანჩხუთის —	500	—	
ვანის —	400	6	
მაიაკოვსკის —	250	4	
ზესტაფონის —	200	—	
ქ. წყალტუბოს ზონა	300	6	
წულუკიძის რაიონი	200	5	
სამტრედიის —	500	16	
გეგეჭკორის —	300	2	
ჩხოროწყუს —	250	—	
წალენჯიხის —	250	2	
ცხაკაიას —	850	5	
ხობის —	1300	3	
ზუგდიდის —	1500	2	
ქ. ჭიათურის ზონა	100	—	
საჩხერის რაიონი	50	—	
ქ. ტყიბულის ზონა	100	—	
ჩოხატაურის რაიონი	100	—	
თერჯოლის —	100	3	
სულ რესპუბლიკაში	12500	238	

(საქინფორმი).

„თბილისგვირაბმშენის“ № 13 რაზმის მშრომელებმა მთავარი კავკასიონის ქედის საავტომობილო გვირაბის მშენებლობაზე წლის დამდეგიდან სამხრეთ პორტალის მხრიდან უკვე გაიყვანეს 1250 გრძივი მეტრი. წარმატებით მიმდინარეობს დასავლურ-ატრანსპორტო შტოლნის მშენებლობა. ამოღებულია მილიონი კუბური მეტრი კლდის ქანის გრუნტი.

სურათებზე: მოწინავე გვირაბგამყვანი თ. ჩალაძე; „თბილისგვირაბმშენის“ № 13 რაზმის გვირაბგამყვანები საუშაოდ მიეშურებიან.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შესრულდა,

ხუთწლედი

განვამტკიცოთ ორგანიზაციული მუშაობა

თუ წინა ხუთწლედში თეთრი წყაროს რაიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების წლიური მოცულობა 8.849 ათას მანეთს შეადგენდა, მეათე ხუთწლედის ოთხ წელიწადში მან 13.499 ათას მანეთს გადააჭარბა. რამდენადმე გადამეტებით სრულდება ყურძნის, ბოსტნეულის, მატყლის, კვერცხის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. შესამნევნად განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მეცხოველეობის საკვები ბაზა. ვრცელდება მოსახლეობის პირად მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება, რომლის ინიციატორები ორბეთის სასოფლო საბჭოს დეპუტატები არიან.

ამავე დროს ხუთწლედის მაძიერზე განვლილი გზის შედეგები მოწმობს, რომ პარტიის თეთრი წყაროს რაიკომმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეანელეს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, მეურნეობის ეკონომიკისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობა. იშვიათი გამონაკლისის გარდა რაიონის ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში არ სრულდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გეგმები. რაიონი ვერ ასრულებს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის ხუთწლიან გეგმებს.

მეურნეობათა ეკონომიკაში ჩამორჩენა უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ კომუნისტებმა და, უწინარეს ყოვლისა, ამ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა შეასუსტეს პასუხისმგებლობა მუშაობის მინდობილი უბნისათვის, საკმაოდ არ იბრძვიან პარტიული ორგანიზაციები დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომის ზუსტი ორგანიზაციისათვის. უფრო მეტიც, ორბეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში, მაგალითად, მოიკალათა დამნაშავეთა ჯგუფმა, რომელმაც 500 ათას მანეთზე მეტი მიითვისა. იოლი გამდიდრების მოყვარულნი მიცემული არიან სასამართლო პასუხისგებაში. მაგრამ ისმება კითხვა, სად იყვნენ მეურნეობის კომუნისტები, რატომ ვერ შეძლეს დროულად ემხილებინათ დამნაშავეები?

ყოველივე ეს ითქვა თეთრი წყაროს რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე. კრების მონაწილეებმა განიხილეს რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ.

რა გზით, რა საშუალებებით უნდა გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი და დავძლიოთ ჩამორჩენა, როგორ მივაღწიოთ რაიონის ეკონომიკის საერთო აღმავლობას მეთერთმეტე ხუთწლედის პირველსავე წელს? სწორედ ამას მიაპყრეს განსაკუთრებული ყურადღება თავიანთ გამოსვლებში პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ჯ. ბედუკაძემ და კრების სხვა მონაწილეებმა.

ჩვენი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია

ვან საქმედ მიმაჩნდა და მიმაჩნია, ამიტომ ქარხნის ახალგაზრდები დიდი სიხარულით შეეხვედით საწარმოს ადმინისტრაციისა და პარტიული კომიტეტის გადაწყვეტილებას კომპლექსური ბრიგადების შექმნის შესახებ.

თუ ჩვენ მეათე ხუთწლედში რამეს მივაღწეთ, თუ ჩვენი წვლილი შევიტანეთ იმ დიდ მიღწევაში, რომელსაც დღეს მთელი რესპუბლიკა ღირსეულად ზეიმობს, ეს კომპლექსური კოლექტივების — „მომავლის შეჭურეტების“, როგორც მათ უწოდებენ, დიდი დამსახურებაც არის.

კომპლექსური კოლექტივი ახალგაზრდობის აღზრდის შესანიშნავი საშუალებაა. ასეთ კოლექტივში თავს იყრის ვეტერანთა გამოცდილებაც და ახალგაზრდული ენთუზიაზმიც, მათი შერწყმა კი ნაყოფიერი შრომის შესანიშნავ პირობებს ქმნის.

მეათე ხუთწლედის ამ მიჯნაზე, როცა მეთერთმეტე ხუთწლედის კადრებზეც ვზრუნავთ, მიზანშეწონილად მიმაჩნია კვლავ დავაყენო საკითხი იმის შესახებ, რომ კომპლექსური ბრიგადების შექმნა არ უნდა შეფერხდეს.

ჩვენი ბრიგადა პირობას დებს, რომ ღირსეულად შეხვედება პარტიის მომავალ ყრილობებს, ორი თვის გეგმას ვადამდე შეასრულებს, წლეულს კი გეგმის ზევით ორი ელმავლის აპარატურას დავამზადებთ. აი ასეთია ჩვენი ვალდებულება, ეს არის ჩვენი სიტყვა, ჩვენი პოზიცია...

რუსუდან შარაბიძე: მეათე ხუთწლედი ჩემი პირველი შრომითი ხუთწლედია. ოთხოოდე წელია რაც საწარმოში ვარ, მაგრამ დიდი ნდობა გამომიცხადეს — დამპრობლემებზე ვლაპარაკობთ, ჩვენი საწარმოს მაგალითზე ბევრი საინტერესო ღონისძიების გახსენება შემიძლია. დავიწყოთ იმით, რომ ფაბრიკის სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით სულ უფრო ხშირად ეწყობა ჩვენი კოლექტივის შეხვედრა მუშაახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეებსა და პედაგოგებთან. ამ შეხვედრების დროს საინტერესო საუბრები იმართება მომავალი თაობის აღზრდის და სრულფასოვანი კადრის მუშად ჩამოყალიბების პრობლემებზე. ამ კარგი ღონისძიების ერთგვარი გაგრძელებაა თბილისის მუშათა კლასის სახელოვან წარმომადგენლებთან შეხვედრებიც. ჩემი მეხსიერებიდან არასდროს არ წაიშლება, მაგალითად, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის ხელმძღვანელის, სოციალისტური შრომის გმირის გიორგი კურტანიძის სტუმრობა. ამ შესანიშნავმა ადამიანმა ისეთი დამრიგებლური გაკვეთილი ჩაგვიტარა, რომ პირველად ჩავფიქრდით სერიოზულად ბევრ საკითხზე, რომლებსაც ადრე ყურადღებასაც არ ვაქცევდით.

ხელმძღვანელის მაგალითს დიდი აღმზრდელობითი ძალა აქვს. კარგ მაგალითს კი უწინარესად სწორედ ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი ფერია ილაშვილი და საამქროს პარტბიუროს მდივანი წკრიალა სადუნაშვილი გვიჩვენებენ. გვეჭირს თუ გვილინნს, ისინი მუდამ ჩვენს გვერდით არიან. პარტბიუროს მდივანი ჩემი მეგობარია, იგი საუკეთესო მუშაც არის და პრინციპული, მომთხოვნი ამხანაგიც, პირადი მაგალითით გზას გვინათებს.

მკერავის პროფესია სწორედ ასეთმა ადამიანებმა შემაყვარეს. მათ შეუძლიათ სილამაზე შემატონ სიტყვასაც, საქმესაც. ისინი გვასწავლიან, რომ „ადამიანში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს — სულიც, გარეგნობაც, ჩაცმულობაც“!. და ეს დევიზი ბევრი ჩემი თანატოლის ყოველდღიური საქმიანობის მეგზურია.

ამ დევიზით ვშრომობდით მეათე ხუთწლედში და ეს საზეიმო დღე რომ დამდგარიყო, ამაში ჩემმა კოლექტივმაც, ვფიქრობ, თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა.

საუბარი ჩაიწერა

რ. ჯელიძემ.

ბრძოლა

ტრალურმა კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ორგანიზაციებს შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი თეთრი წყაროს რაიონის ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევისათვის.

აქტივის კრებაზე გამოვიდნენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი შ. ეცადაშვილი, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი გ. გადელია, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ი. ხალხლოვი, „საქსახსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილე ვ. ყაზახაშვილი, რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის უფროსი ა. გაწერელია. მათ ილაპარაკეს მუშაობაზე, რომელიც ამ მიმართულებით მიმდინარეობს.

პატრიოულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი.

(საქინფორმი).

მსჯელობენ მშენებლები

მეათე ხუთწლედის ასამოქმედებელი ობიექტები დროზე გადაეცემა საექსპლოატაციოდ. საგეგმო დავალებათა, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შესახებ კონკრეტული, საქმიანი სიტყვა-ბაასი გაიმართა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მუშაკთა თათბირზე, რომელიც გორში გაიმართა.

მშენებლებისათვის შეთავაზებულმა სპეციალურმა ანკეტებმა შესაძლებელი გახადეს არსებული რეზერვების გამოვლენა და განაწილება, ხოლო შეთანხმებული გრაფიკების შეოხებით შეიძლება იერიშობანას თავიდან აცილება, მუშაობის ხარისხის ამაღლება.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, რესპუბლიკის მთელი რიგი ადმინისტრაციული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები.

ზრდიან წარმოების ტემპს

ნუალტუბო. (საქინფორმის კორ.). ქალაქ წყალტუბოს ზონის მშრომელებმა უპატაკეს სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება. არასრული ხუთი წლის მანძილზე მათ გამოუშვეს 152 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც საგეგმო დავალების 100,2 პროცენტს შეადგენს. შრომითს მეტოქეობაში განსაკუთრებით ისახელეს თავი „საქგუმბრინის“ სამმართველოს, წყალტუბოსა და ოფურჩხეთის ჩაის ფაბრიკების, ადგილობრივი მრეწველობის კოლექტივებმა.

კარგი მაჩვენებლებით

ებაშის რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის ხუთწლიანი დავალება.

რძის წარმოებაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს სოფელ პირველი მაისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა. მოწინავე მწველავებმა ნინო ჯანჯღავამ, მირო გვარამიამ, ბორის მიგინეიშვილმა, გაბო ლასარეშვილმა და სხვებმა წლის დამდეგიდან მიიღეს თითო-თითო — 3.100 კილოგრამი რძე 2.900-ის ნაცვლად.

ჩვენ ერთ ოჯახად ვიზრდებოდით

ფიქრები ხუთწლედების შესაყარზე

პირველების აღზრდის საზრდი

გურგენ ჭეხაშვილი: გუშინდელივით მახსოვს დაუვიწყარი დღეები ჩემს ცხოვრებაში, როცა სკკპ XXV ყრილობის მუშაობაში ვმონაწილეობდი. იმ დღეებს უკვე ხუთი წელი გვაშორებს, დაძაბული, მაგრამ ბევრი სიახლით აღსავსე წლები. ჩემი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში ბევრი რამ მინახავს. ბევრ ადამიანთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ, დამერწმუნეთ, ისეთი მონოლითური, ერთი მიზნით შეპყრობილი, როგორიც დღეს არის, ჩვენი კოლექტივი არასდროს არ ყოფილა.

მეათე ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედი იყო, და კარგად მოგეხსენებათ, ხარისხის გაუმჯობესება ჩვენი საწარმოსათვის ყველაზე მთავარი მოთხოვნა გახლავთ. განვლილ წლებში ამ მხრივ დიდი მუშაობა გაიშალა, და, როდენ სასიხარულოა, რომ საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ამ საქმიანობაში დიდი ნდობა ვეტერანებსაც გამოგვიცხადეს.

გაჩაღდა დამრიგებლობა. პირადად მე 35 ახალგაზრდა აღვზარდე და ახლა ისინი ფაბრიკის თითქმის ყველა გადამწყვეტ უბანზე მუშაობენ. მუშათა ოსტატობის ამაღლებას ჩვენს პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან კარგად მოგეხსენებათ, დანადგარები მოძველებულია და ვერც ნედლეულის ხარისხი გვაკმაყოფილებს.

თქვენ მეკითხებით, თუ რა კეთდებოდა და კეთდება საწარმოში მშრომელთა შრომითი, იდეური და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობისათვის. მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტი ამხანაგების, დამრიგებლების მუშაობა ამ მიმართულებით მიმდინარეობდა. და დღეს რომ საწარმოს ასობით ახალგაზრდა დღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებს, რომ ბევრ უბანზე შემცირდა წუნი, რომ ხარისხის მაჩვენებელიც ერთგვარად გაუმჯობესდა, ეს ჩვენი კოლექტივის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომხატველია.

მაინც რამ გაზარდა ეს თქვენი აქტიურობაო, იკითხავთ ალბათ. თუნდაც იმან, რომ საწარმოს კოლექტივის, სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობა უფრო მიზანსწრაფული გახდა. მაგალითად, მე დიდად ვიფასებ ჩვენი საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანს ვანო ყულჯანოვს იმისათვის, რომ იგი მუშების გვერდით ტრიალებს, ჩამორჩენილსაც იცნობს და მოწინავესაც; დიდად ვიფასებ საამქროს პარტბიუროს მდივანს ნელი მათიაშვილს, იმიტომ, რომ მუშა კაცის ფიქრისა და ოცნების ამოცნობა ერთი შეხედვით შეუძლია. ჩვენი აქტიურობა იმ ზრუნვამ გახაპირობა, რომელიც ამ ბოლო ხანს სულ უფრო ძლიერდება მუშაკაცისადმი, და ბოლოს ჩვენი უკეთესი ცხოვრების კეთილდღეობის იმ დიდი პროგრამის განხორციელების სურვილმა განაპირობა, რომელსაც პარტია გვისახავს.

და დღეს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოლოცვის სიტყვებით ფრთაშესხმული, ახალი მიჯნების დასაძლევად მზად ვართ!

შალვა გაგიევლიძე: მე მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი იმ სკოლის მსმენელი ვარ, რომლის ხელმძღვანელია ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე. სკოლის მსმენელთა თაოსნობით გაჩაღებული შეჯიბრების დეკეზი დღეს მთელ რესპუბლიკაშია ცნობილი. თითოეული ჩვენგანი ნიადაგ იმაზე ფიქრობს, რომ მეცადინეობის დროს ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაზე გამოთქმული ყოველი შენიშვნა და მითითება მუშაობაში გავითვალისწინოთ.

მეათე ხუთწლედში ჩვენს საწარმოს ბევრი ახალი მუშა შეემატა. ჩვენ, „მასპინძლებს“, რომ იტყვიან, ორმაგი ჯაფა დაგვადგა — ჩვენს უბანსაც უნდა გავძღოლოდით და ამ ახალი კადრების აღზრდაზეც უნდა გვეზრუნა. ეს უკანასკნელი არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეა ბევრ ადამიანთა ბედი ამ ზრდაზე, ამ ფაქიზ ასაკზე

ჩვენი დღეების ხუროთმოძღვრება

საქართველოს არქიტექტორთა XI ყრილობა ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნავ დღეებში იმართება. მთელი საბჭოთა ხალხი, რესპუბლიკის მშრომელები დიდი პოლიტიკური მოვლენისთვის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ემზადებიან.

სასიხარულოა, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ვადამდე უპატაკეს სამშობლოს მეათე ხუთწლედის შესრულება. ამ წარმატებაში არქიტექტორებსაც აქვთ თავიანთი წვლილი.

არ არის ადამიანის ცხოვრების არც ერთი სფერო, რომელშიც არქიტექტურა არ მონაწილეობდეს. არქიტექტურა მოწოდებულია ადამიანს ბუნებასთან მჭიდრო კავშირით კეთილმოწყობილი ხელოვნური გარემო შეუქმნას. ყრილობიდან ყრილობამდე განვლილი ჰერიოდის გამოჩენილ მოვლენად მიგვაჩნია თბილისს ისტორიული რაიონების რესტავრაცია-რეკონსტრუქცია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება თბილისის ისტორიული უბნების შენახვის, რესტავრაციისა და რეგენერაციის შესახებ ახალი ეტაპია ჩვენი დედაქალაქის არქიტექტურულ ცხოვრებაში. ეს გახლავთ ზრუნვა თბილისის გამშვენიერების, თავისთავადი განუმეორებელი არქიტექტურული მეატვრული სახის შენარჩუნების საქმეში.

როდესაც მშენებლებსა და მშენებლობაზეა ლაპარაკი, არ შეიძლება არ გაგახსენდეს ენგურის ჰიდროელექტროსადგური, უნიკალური საიზოლირო ნაგებობა, რომელიც ქართველმა არქიტექტორებმა რთულ გეოგრაფიულ პირობებში მოხდენილად შეუთავსეს ბუნებრივ ლანდშაფტს. ჩვენი არქიტექტორების მიერ დაპროექტებული თბილისის მეტროპოლიტენი თავისი გაზრებით, მასშტაბურობით, მხატვრული სახით სრულყოფილი არქიტექტურული კომპლექსია, იგი დედაქალაქის მშვენება გახდა.

ქართველ არქიტექტორებს თავიანთი შემოქმედება არც საკავშირო მნიშვნელობის ობიექტებისათვის დაუკლიათ. მათ დააპროექტეს ბამის ერთ-ერთი უბანი „ნია გრუზინსკაია“, ახალი ათონის გამოქვაბული კომპლექსი, რომელიც სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. მაღალი შეფასება მეეცა აგრეთვე სოხუმში ჩვენი ხუროთმოძღვრების მიერ მოსკოვის სამხედრო ოლქისათვის აგებულ დასასვენებელ სახლს. მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემია მიენიჭა. ჩვენი არქიტექტორების საყურადღებო ნამუშევრებია აგრეთვე გაგრის დასასვენებელი კომპლექსი „მზიური“, რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს შენობა, თბილისის საგარეუბნო რკინიგზის ბორჯომის სადგური, კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე, რომლის ავტორებიც საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატები გახდნენ.

განვლილი ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკაში მრავალი თვალსაჩინო არქიტექტურული ნაწარმოები შეიქმნა. მაგალითად, ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი ახლა საუკეთესო სპორტულ კომპლექსად ითვლება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამ ხნის განმავლობაში თბილისს შეემატა მეტროპოლიტენის მეორე რიგის 5 მიწისქვეშა სადგური, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შენობა. მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნაწარმოებებია საქართველოს ცენტრალური კომიტეტის შენობა, აღდგენილი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. მთავრდება ვლადანის საცხოვრებელი რაიონის მშენებლობა თავისი ჯრძივი ცენტრით, რომელიც საინტერესო არქიტექტურულ კომპლექსს წარმოადგენს.

ღირსშესანიშნავია გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატიული თეატრი, სპორტული წყალჯობრდობის ცენტრალური კომპლექსი დედაქალაქის სანაპიროზე. მოწონება დაიმსახურა ყვარლის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახლ-მუზეუმმა, ქუთაისის კინოთეატრმა, ტურისტულმა კომპლექსმა „ვაკეში“, სასტუმრო „აჭარამ“, სასტუმრო „რაჭამ“ ქ. ონში, თბილისის მეცნარეთა დაცვისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებმა, მეჯვრისწვეის მეფრინველეობის ფაბრიკის ექსპერიმენტულმა დასახლებამ...

ცნობილია, რომ თბილისის განაშენიანების გენერალური გეგმა 1970 წელს დამტკიცდა. მაგრამ ქალაქის ცენტრის პროექტი დღესაც დაუმუშავებელია, ეს კი საგრძნობლად აფერხებს თბილისის ცენტრალური ნაწილის მიზანდასახულ განვითარებას. „თბილისქალაქპროექტის“ გადაუდებელი ამოცანაა ამ საკითხის დროული მოგვარება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმზე ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის გამოსვლაში დიდი ყურადღება დაეთმო არქიტექტურის და მშენებლობის აქტუალურ საკითხებს. აღინიშნა, რომ შეეწყვეტა ნარეკელია ისეთი პრაქტიკა, როდესაც ბინის მიღება ერთდროულად მისი რემონტის დაწყებასაც ნიშნავს. ამასთან სწორად ითქვა, რომ განაშენიანების ერთფეროვნება და უსახურობა უპირველესად არქიტექტორების ბრალია, რომელებმაც მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის განვითარებასთან ერთად თანდათანობით შემოქმედებითი ძიებებისადმი მისწრაფება დაკარგეს. ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი რამ დაგვრჩა გასაკეთებელი.

ჩვენ ყველას გვაინტერესებს მომავლის სოფელი, მისი არქიტექტურულ-მხატვრული სახე, განაშენიანების პრინციპები. თავისთავად ეს არ არის ახალი საკითხი. ამ რთული პრობლემის განხილვას ბევრი თათბირი და პლენუმი მიეძღვნა. მოხარული ვართ, რომ მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება, რომელშიც სრულიად მკაფიოდ და ყველასათვის გასაგებად არის განსაზღვრული სოფლად ინდივიდუალური მნიშვნელობის შემდგომი განვითარების პრობლემები.

ინდივიდუალური მნიშვნელობის საჭირო საშენი მასალებით უზრუნველყოფა სერიოზული პრობლემაა. რაიაღმასკომებს საამისოდ არა აქვთ საკმარისი ფონდები, ხოლო სამინისტროები და სხვა ორგანიზაციები ნაკლებად ფიქრობენ ამ საკითხზე. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი მრეწველობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს, ცეკავშირს და თვით კოლეგიურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს დაეკალოთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ საკითხების დადებითად გადაჭრაში. თუ შეიქმნება ერთიანი ორგანიზაციული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემა, მაშინ კარგი ხელმძღვანელობის პირობებში ამ რთული პრობლემის გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელი გახდება. ამასთან უნდა შევქმნათ საწარმოები, რომლებიც სოფლად ბინათმშენებლობისათვის დაამზადებენ ცალკეულ სამშენებლო ელემენტებს და მასალებს — აგურს, კომბლებს, კედლის ბლოკებს, კარ-ფანჯრებს, კიბის საფეხურებს, ბაჯს და სხვ. აქ დიდია საქართველოს სახმშენის როლი, რომელმაც პრინციპულად სწორად უნდა წარმართოს სოფლად არქიტექტურისა და მშენებლობის შემდგომი განვითარების ტენდენციები.

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს არქიტექტორთა XI ყრილობა გარკვეულ წვლილს შეიტანს ქალაქგანაშენიანების შემდგომი წინსვლის საქმეში, დადებითად გადაწყვეტს თანამედროვე არქიტექტურის წინაშე მდგომ პრობლემებს.

ი. ჩხენკელი,
საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, პროფესორი.

სურათზე: საქართველოს არქიტექტორთა XI ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან — „თბილისქალაქპროექტის“ პროექტის მთავარი არქიტექტორი გ. ღუღუნაური, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი ვ. დოლიძე, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს გამგე ე. კალანდაძე, „ხაჭაპაროექტის“ განყოფილების მთავარი არქიტექტორი ა. გიუნაძე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ჩხეიძე, „თბილისქალაქპროექტის“ პროექტის მთავარი არქიტექტორი თ. მიქაშავიძე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ა. ბ. არგუნ-კონოშოკი

აფხაზეთის, მთელი საქართველოს მრავალეროვნულმა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — 67 წლისა უეცრად გარდაიცვალა აფხაზური თეატრის ერთ-ერთი პირველი მსახიობი, სცენის აღიარებული ოსტატი, ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი ანა ბიდოს ასული **არგუნ-კონოშოკი.**

ა. ბ. არგუნ-კონოშოკი დაიბადა 1914 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ყულანურხვაში, გლეხის ოჯახში. 1928 წელს ადგილობრივი დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო სოხუმის სკოლა-ინტერნატში, შემდეგ — 1931 წელს გაიგზავნა სასწავლებლად აფხაზურ დრამატულ სტუდიაში.

ამ დროიდან მოყოლებული ანა ბიდოს ასული არგუნ-კონოშოკის მთელი ცხოვრება განუყრელად იყო დაკავშირებული თეატრის სცენასთან, რომელსაც აზმარდა მთელს თავის ენერგიას, ძალას, ნიჭს.

მრავალმხრივი იყო ა. ბ. არგუნ-კონოშოკის შემოქმედებითი, აქტიორული ღიაპაზონი. თეატრში ნახევარი საუკუნის შემოქმედებითი მუშაობის მანძილზე მან შექმნა მრავალი სცენური სახე, რომლებიც გამოირჩეოდა დიდი აქტიორული ოსტატობით, ღრმა ფსიქოლოგიური წვდომით. მათ შორის უნდა თავასაღებითაა გ. გულის „ეს სტუმრები“, ნდედეა — გორის „უკანასკნელში“, დიურსანი — „ბანკეტის მეტიბაში“, „ზეის ამოსვლა“, ნინა, ოფელია — „ქარნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვაში“, გუნდა — ფაჩალიას „გუნდაში“, დეზდემონა — შექსპირის „ოტელოში“, მაშა — პოგოდინის „კრემლის კურანტებში“, თავადის ასული — შინკუბას „კლდის სიმღერაში“ და მრავალი სხვა.

თავის სამსახიობო ხელოვნებას ა. ბ. არგუნ-კონოშოკი დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. იგი გამოირჩეოდა უდიდესი მომთხოვნელობით როგორც საკუთარი თავისადმი, ასევე ამხანაგებისადმი, აქტიურად უწყობდა ხელს აფხაზური ეროვნული თეატრის ახალგაზრდა თაობის აღზრდა-დაოსტატებას.

შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად ა. ბ. არგუნ-კონოშოკი საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. იგი არაერთხელ აურჩევიათ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს და სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

მისი დიდი დამსახურება ღირსეულად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. ა. ბ. არგუნ-კონოშოკი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით.

ა. ბ. არგუნ-კონოშოკს ბევრი შემოქმედებითი შთაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, თავის ცხოვრების უკანასკნელ საღამოს იგი მორიგი როლის რეპეტიციის გადიოდა აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალ სპექტაკლში — ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“.

ა. ბ. არგუნ-კონოშოკმა მთელი თავისი დიდი ნიჭი, მოქალაქეობრივი ტემპერამენტი ხელოვნების, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების იდეალების სამსახურს მოახმარა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო;
საქართველოს თეატრალური საზოგადოება;
ს. ჭანბას სახელობის აფხაზური დრამატული თეატრი.

მუდამ მზად ვართ ვემსახუროთ სამშობლოს

საქართველოს სამხედრო კომისარიატების პარტიული კონფერენცია

სამხედრო კომისარიატიდან მიღებული უწყებით დაიწყო ბევრისთვის დიდი სამამულო ომი. სამხედრო კომისარიატის უწყებით ჩვენს მშვიდობიან დღეებში თითოეული ჭაბუკისათვის იწყება ქვეყნის შეიარაღებული ძალების რიგებში სამხედრო სამსახური — საბჭოთა მოქალაქის ყველაზე საპატიო მოვალეობა. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატები დიდ მუშაობას ეწევიან წვევამდელებთან, ამზადებენ მათ სამშობლოს დაცვის საპატიო ვალის მოსახდელად.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად გამიზნული სკკპ XXV ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოთხოვნათა შესრულებისათვის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი სრულყოფის მიზანები განიხილა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატების XXIII პარტიულმა კონფერენციამ.

კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსმა პოდპოლკოვნიკმა რ. ტ. ნიორაძემ.

კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე პარტიული კომისიის მდივნის პოდპოლკოვნიკ ვ. გ. სულაბერიძის მოხსენება რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილებასთან არსებული პარტიული კომისიის მუშაობის შესახებ.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ კონფერენციის დელეგატები — მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების სამხედრო კომისრები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები და ა. შ.

კონფერენციაზე გამოვიდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი დ. ვ. ტიმერხანოვი, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი გენერალ-მაიორი ლ. ი. შარაშენიძე.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც სამხედრო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების კომუნისტებს და მთელ პირად შემადგენლობას რაზმავს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებულია სამხედრო კომისარიატების მთელი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების, სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის დონის ამაღლების, სამხედრო სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადების ხარისხის გაუმჯობესების ვრცელი პროგრამა.

პარტიულმა კონფერენციამ მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატების კომუნისტები, მთელი პირადი შემადგენლობა, მხურვალედ იწონებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებასა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის მუდმივ ზრუნვას, ძალას, ცოდნასა და გამოცდილებას არ დაიშურებენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტების მომავალ ფორუმებს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მე-60 წლისთავს.

პარტიულ კონფერენციაზე აირჩიეს საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილებასთან არსებული პარტიული კომისიის შემადგენლობა. პარტიული კომისიის მდივნად არჩეულია პოდპოლკოვნიკი ვ. გ. სულაბერიძე. (საქინფორმი).

საჩუქარი — მუზეუმს

ონი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს საჩუქრად გადასცა უნიკალური ექსპონატი, — მხატვრულ-იუმორისტული ჟურნალი „ონი“.

ეს ნაბეჭდი ჟურნალი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში გამოსცა ონში არსებულმა ლიტერატურულმა წრემ. მისი პირველი ნომერი 1922 წლის სექტემბერში მიიღო მკითხველმა.

ჟურნალ „ონში“ აქტიურად მოღვაწეობდნენ მწერალი და დრამატურგი გერცელ ბაიზოვი, თვით უჩა ჯაფარიძე, აკადემიკოსი პეტრე გამყრელიძე. ჟურნალს რედაქტორობდა გრიგოლ ჯაფარიძე.

ვ. ცირეკიძე.

სწავლობენ ჟურნალისტები

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ მოაწყო სემინარი ჟურნალისტებისათვის, რომლებიც წერენ საქართველოსა და მორალის თემებზე. ერთი კვირის განმავლობაში რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების მუშაკებმა მოისმინეს ლექციები მართლმსაჯულების აქტუალურ პრობლემებზე, იმ ამოცანებზე, რომლებიც დასახულია პრესის წინაშე, კანონმდებლობის პროპაგანდის საქმეში, და რესპუბლიკაში მართლწესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა.

ჟურნალისტების წინაშე გამოვიდნენ პროფესორები გ. ერემოვი, ნ. წერეთელი, ა. გაბიანი, დოცენტი ვ. ჭანია, მ. უგრეხელიძე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე გ. ბედნენიშვილი, სახტელერადიოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. სანეტლიძე, რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რატიანი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი ნ. ბეთანიშვილი და სხვები, რომლებმაც დამსწრეთ უამბეს სოჯახო და შრომითი სამართლის, პრესაში სამართლისა და მორალის საკითხების გაშუქების, რადიოთი და ტელევიზიით სამართლებრივი პროპაგანდის, რესპუბლიკურ პრესაში ახალგაზრდობის სოციოლოგიური პრობლემების, სამართლებრივი პროპაგანდის პედაგოგიური საფუძვლების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საავტო დარბაზში გაიმართა პრესკონფერენცია. (საქინფორმი).

ავშვებისათვის თეატრი მეორე სკოლა, მეორე დედაენაა, მისი ოცნების სამყაროა. დიახ, თეატრს უდიდესი როლი ენიჭება ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდაში, მაგრამ, თურმე, ბავშვებსაც შესძლებიათ უდიდესი სამსახურის გაწევა თეატრალური ხელოვნებისათვის. არაერთი ცნობილი რეჟისორი თავის სპექტაკლს პირველად სწორედ ბავშვებს უჩვენებდა, რადგანაც ისინი ყველაზე უფრო უშუალო და გულწრფელ მაყურებლად მიიჩნდა.

...იმ დღეს მთაწმინდისა და დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი მიხაკებისა და ვარდების ზღვაში ჩაიძირა — თბილისელმა მოსწავლეებმა პატივი სცეს გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეთა ხსოვნას, რომელთა შემოქმედებაზე მათ ბევრი სმენიათ, არ უნახავთ, მაგრამ თითქოს მაინც განუცდიათ.

ასე დაიწყო ორიოდე დღის წინათ თეატრალური ხელოვნების მეექვსე რესპუბლიკური „კვირეული „თეატრი და ბავშვები“. იგი სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას ეძღვნება.

კვირეული საზეიმოდ გაიხსნა სოხუმში, რომელიც რესპუბლიკის ყმაწვილთა ამ თავისებური ზეიმის ცენტრი გახდა და საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში გადაინაცვლებს.

აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის სცენაზე დიდი კონცერტის წინ მაყურებლებს მიესალმნენ აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი ტ. კოღონია, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ბურაბანიძე, საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ალექსიძე.

აფხაზეთის ნორჩ მაყურებლებთან სტუმრად მოვიდნენ რესპუბლიკის საუკეთესო თეატრების მსახიობები — რუსთაველელები, მარჯანიშვილელები, გრიბოედოველები, შაუმიანელები, მუსიკალური კომედიის, პანტომიმის თეატრების წარმომადგენლები, ისინი აფხაზეთის თეატრების მსახიობებთან ერთად თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ ბავშვებს. თავიანთ ხელოვნებას წარმოადგენენ აგრეთვე ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების ტალანტების დათვალიერების მონაწილენიც— თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული, თოჯინების ქართული და რუსული და ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრები.

ამავე დღეს კვირეული გაიხსნა თბილისშიც, კერძოდ, 161-ე საშუალო სკოლაში, რომლის აღსაზრდელებმა ეს პატივი წარჩინებული სწავლითა და ბეჯითი შრომით მოიპოვეს. ყმაწვილებს ესტუმრნენ მსახიობები და თეატრმცოდნეები. საღამოზე თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა ლ. ჩიქვანაიამ მოსწავლეებს მიულოცა „თეატრთან უშუალოდ შეხვედრა“. ცნობისმოყვარე მოსწავლეების შეკითხვებზე უპასუხეს თეატრმცოდნეებმა კ. ნინიკაშვილმა და მ. მეტრეველმა.

კვირეულის პროგრამით მრავალი საინტერესო ღონისძიებაა გათვალისწინებული: „პროფესიონალთა რეპეტიციებზე“, „45 წუთი მშვენიერების სამყაროში“, „სცენიდან თქმული მართალი სიტყვა“, „მუსიკა თეატრში“, „მე, რომ თეატრის მხატვარი ვიყო“, „ჩვენი თეატრის ერთი წარმოდგენა“ და ა. შ. აი თემატიკა, რომელიც კვირეულის მუშაობის შინაარსს გადმოგვცემს.

წარმოიდგინეთ, რაოდენ საინტერესოა თითოეული ეს ღონისძიება ყმაწვილებისათვის, რომლებიც თეატრალური ხელოვნების მომავალდგომელ სამყაროს მრავალ საიდუმლოს ეზიარებიან, გაეცნობიან, თუ როგორ ქმნიან პროფესიონალი მსახიობები გმირთა სცენურ სახეებს, როგორ იწერება მუსიკა თეატრისათვის, როგორ იქმნება თეატრის მხატვრობა. თავის მხრივ ხელოვნების მოღვაწეებსაც აინტერესებთ ბავშვთა აზრი— როგორ წარმოუდგენიათ მათ ესა თუ ის სპექტაკლი, გმირი, მისი მხატვრულ-მუსიკალური გაფორმება. სწორედ ამ მიზნით გაიხსნა ნორჩ მხატვართა გამოფენა-კონკურსიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდიკურ ცენტრში.

კვირეული 9 დეკემბრამდე გაგრძელდება. იგი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ყმაწვილებსა და ხელოვნების მუშაკებს შორის მჭიდრო, საქმიან ურთიერთობას და უთუოდ კარგ ნაყოფს გამოიღებს როგორც მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით, ისე თეატრის ცხოვრებაში. ეს უკვე დაადასტურა ტრადიციულად დამკვიდრებულმა თეატრალურმა კვირეულებმა.

რ. მუხიგულაშვილი.



ყმაწვილი და თეატრი

მიმდინარე ოგბს თეატრალური ხელოვნების კვირეული

ხელოვანი და დრო



რუსთაველ-მხატვრების თემა

უკვე ტრადიციად დამკვიდრდა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის კარგი თაოსნობა — ქართველ მხატვართა სტუმრობა საოლქოეურნეო მინდვრებსა და საწარმოებში, რათა ბქვე, ადგილზე შექმნან მოწინავე ადამიანების თუ ჩვენი მშობლიური პეიზაჟების ჩანახატები.

აი ახლაც, მხატვართა ერთი ჯგუფი რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის დ. ნოდიას ხელმძღვანელობით, რუსთავს ჩავიდა. მხატვრებმა თ. ყუბანეიშვილმა, ლ. შენგელიამ, ლ. ზამბახიძემ, ბ. სიხარულიძემ, ბ. გოლუაშვილმა, გ. თავბერიძემ, ა. სარჩიმელიძემ, დ. ჯაბუამ არაერთი მშვენიერი ჩანახატი გააკეთეს.

— ეს ნამუშევრები უკვე ექსპონირებულია გამოფენაზე „ჩვენ ვაშენებთ კომუნიზმს“, რომელიც „მხატვრის სახლშია“ მოწყობილი, — უთხრა „კომუნისტის“ კორესპონდენტს დ. ნოდიამ, — ჩვენი მხატვრებისთვის ძალზე სასარგებლო ღონისძიებაა. ნატურიდან ნახატა, მოგეხსენებათ, უფრო ცხოველმყოფელსა და ხელშესახებს ხდის ნამუშევარს. მალე ალბათ მადნეულს ვესტუმრეთ.

სურათებზე: რუსთავში შესრულებული ჩანახატების ფოტორეპროდუქციები — „მეფოლადე“ (რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი თ. ყუბანეიშვილი); „სამხმლელი ხაჭერ“ (მხატვარი მ. ხიხარულიძე).

ა ი რ მ ა ვ ლ ე ბ ი თ ბ ი ლ ი ს შ ი

თბილისის ქუჩებში გამოჩნდა გათხევადებული გაზით მომუშავე პირველი სამი ტაქსი. გარეგნულად ეს „ვოლგები“ არაფრით არ განსხვავდება ბენზინისძრავიანი ავტომობილებისაგან, მაგრამ, სპეციალისტების მტკიცებით, ისინი რამდენჯერმე ნაკლებად აბუჭყიანებენ ჰაერს გამონაბოლქვი გაზებით. სათბობად გამოყენებული ბუნებრივი გაზის საფუძველს პროპანი და ბუტანი შეადგენს. გაზის ეს ნარევი ბენზინთან შედარებით გაცილებით ნაკლებ ნახშირბადს და მეტ წყალბადს შეიცავს, წვის დროს წყალბადი ჟანგბადს იერთებს და წყლად იქცევა.

ნორმალურად, ნაკლებად ხმაურიანადაც კი მუშაობს ძრავა. „ვოლგა“ მსუბუქად და სწრაფად უმატებს სიჩქარეს. ხელსაწყოთა პანელს დამატებული აქვს ბალონში გაზის მოცულობის მაჩვენებელი. ბალონი, კი კომპაქტურადაა მთთავსებული საბარგულის სიღრმეში.

ამ მანქანის მძღოლი ჯემალ კაკაბაძე, აირმავლის დიდი ენთუზიასტია, — გვითხრა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საავტომობილო ტრანსპორტის კათედრის დოცენტმა ი. ჩხაიძემ. — სამუშაოსაგან თავისუფალ დროს იგი ჩვენთან ნებაყოფლობითს საწყისებზე გათხევადებული ბუნებრივი გაზით მომუშავე გაზ-69 საცდელი მსუბუქი ავტომობილის მექანიკოსის მოვალეობას ასრულებდა. სწავლის დამთავრების შემდეგ ჯემალმა № 5 მსუბუქი ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოში დაიწყო მუშაობა და აირმავლების დანერგვის „პროპაგანდისტი“ გახდა.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საავტომობილო ტრანსპორტის კათედრის დოცენტმა, ტექნიკოსთა კანდიდატმა ვ. ლეკიაშვილმა, — გათხევადებული გაზი თითქმის ორჯერ იაფია ბენზინზე. გაანგარიშებულია: ათი ათასი გაზის ბალონიანი ავტომობილის ექსპლოატაცია წელიწადში რამდენიმე მილიონი მანეთით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ბენზინის ძრავიანი მანქანებისა.

ვარაუდობენ, რომ საქართველოში უკვე 1981 წელს დაიწყება გათხევადებული გაზით მომუშავე დაახლოებით ასი მსუბუქი ავტომობილის ექსპლოატაცია. შეიქმნება აგრეთვე სატვირთო აირმავლების პარკი.

კ. ცხომელიძე,
საქინფორმის კორ.

ოლიმპიადა, ოლიმპიადა...

მალტის დედაქალაქ ლა-ვალეტაში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე გათამამდა მეთერთმეტე ტურის პარტიები. **ჩვენმა ქალთა ნაკრებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა ავსტრალიის გუნდი, 26 ქულა მოაგროვა და ორი ქულით გაუსწრო მთავარ მეტოქეს, უნგრეთის გუნდს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უნგრელებს დასამთავრებული აქვთ ორი გადადებული პარტია.**

რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის ვაჟთა ნაკრებს, მან ამ ტურში სძლია აშშ-ის გუნდს ანგარიშით 2,5:1,5, დააგროვა 29,5 ქულა და მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება უნგრეთის გუნდს, რომელმაც ყაიმით (2:2) ითამაშა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან.

ოლიმპიადის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა.

ვინ მოიპოვებს „ვერცხლის სასალათეს?“

ხვალ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღის სპორტის სასახლეში დაიწყება დევიზის თასის გათამაშების ფინალური მატჩი ჩოგბურთში. საპატიო პრიზისათვის ერთმანეთს ეცილებიან ჩეხოსლოვაკიელი და იტალიელი სპორტსმენები.

მატჩზე დასასწრებად სპორტის სასახლის დირექციამ 120 ათასი ბილეთის შეკვეთა მიიღო, აქ კი სულ 12 ათასი მაყურებლის ადგილია.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ღირსებას დაიცავენ ივანე ლენდლი, თომას შმიდი, პაველ სლოკელი და იან კოდეში, ხოლო იტალიის ნაკრებში იისპარეზებენ ადრიანო პანატა, კორადო ბარაზუტი, პაოლო ბერტოლუჩი და ჯანი ოკლეპო.

უკანასკნელ საათს

გუშინ პრაღაში გაიმართა ფეზბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ევროპის მესამე ჯგუფში მონაწილე ჩეხოსლოვაკიის და თურქეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა.

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები